დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

11.03.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი- **ინგა**

გვარი- **ბოჭოიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქიმია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ქიმია - 0531
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, №694527, 09/07/2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 25 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 27 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 26 ივნისი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან;
4. გასწორდეს საფაკულტეტო სასწავლო კურსების სტატუსი, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში;
5. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
6. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს;
7. რეკომენდირებულია განახლდეს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით;
8. გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით;
9. რეკომენდებულია, გადაიხედოს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს „საწარმოო პრაქტიკის“ შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე აქტივობის წილი და დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა;
10. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა, აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის #694527 გადაწყვეტილებით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად დაწესებულებას განესაზღვრა 6-თვიანი ვადა, 2021 წლის 27 დეკემბრამდე. 2021 წლის აგვისტოდან პროგრამის განვითარების და ხელშეწყობის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და შექმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა გამართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ერთად იმსჯელა და განახორციელა შესაბამისი

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

ცვლილებები პროგრამაში. განახლებული პროგრამა დამტკიცდა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (24/12/2021).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ 10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა 6-თვიან პერიოდში შეასრულა მოცულობითი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული რვა რეკომენდაცია, ხოლო მეტწილად ორი რეკომენდაცია.

რჩევ(ებ)ი

1. გადაიხედოს „საბაკალავრო ნაშრომის“ სტატუსი, რათა ყველა კურსდამთავრებულისთვის იყოს უზრუნველყოფილი შემდეგი სწავლის შედეგი მიღწევა: „შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“;
2. სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია“;
3. სასურველია, დაზუსტდეს უცხო ენის შესაბამის დონეზე დაშვების და შემდეგ დონეზე გადასვლის პირობები;
4. სასურველია, განახლდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, განსაკუთრებით ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის საჭირო ქართულენოვანი ლიტერატურა და უზრუნველყოფილი იქნას მათი განთავსება ბიბლიოთეკაში;
5. სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას;
6. სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები სპეციალობის შესაბამისად, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაცხადებული აქვს საკუთარი პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ გაცემული რჩევები არის მისაღები და სასარგებლო, რომლებსაც პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპებზე გაითვალისწინებენ. დაწესებულებას უკვე გაითვალისწინებული აქვს პირველი რჩევა, საბაკალავრო ნაშრომის სტატუსთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაცია -

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[7]

სტანდარტის დასახელება[8]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[9]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 1	გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის: *4. შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება,* მიღწევა რთული იყო ყველა სტუდენტისთვის, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებულ საბაკალავრო ნაშრომს ჰქონდა არჩევითი სტატუსი. პროგრამაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი. შესაბამისად, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სწავლის შედეგების რუკა; • საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება[10]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[11]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 2	რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და მათი გაზომვადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკით. რაც შეეხება სასწავლო კურსების სწავლის

[7] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[8] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[9] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[10] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[11] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	შედეგებს, წარმოდგენილია შესაბამისი გადამუშავებული სილაბუსები, სადაც შესწორებულია სწავლის შედეგები (ოთხი სასწავლო კურსი) და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე შეიცვალა სასწავლო კურსების შინაარსი (ორი სასწავლო კურსი) მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არის სასწავლო კურსები, რომლებშიც, მაგალითად, პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში დაზუსტებას საჭიროებს. მაგალითად, სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია-1“ სწავლის შედეგი: „შეუძლია ორგანულ ქიმიაში საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.“ აღნიშნული სწავლის შედეგის გაზომვა კურსის ფარგლებში ვერ მოხდება, თუმცა ამ სწავლის შედეგს სტუდენტი რეალურად აღწევს, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულია სასპეციალიზაციო მოდულები, სპეციალობის არჩევითი ბლოკები და მეორადი სპეციალობა. შესაბამისად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროებები, რომელიც ამ სასწავლო კურსითაც მიიღწევა. აღსანიშნავია, რომ ასეთი რეკომენდაცია გაცემულია სამაგისტრო პროგრამების („ქიმია“, „ქიმიური ექსპერტიზა“) შემთხვევაშიც. შესაბამისად, შეფასება სამივე პროგრამის შემთხვევაში მსგავსია.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სწავლის შედეგების რუკა.

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 3	რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლა სწავლის

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	შედეგების რუკა, რომელშიც აისახა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სწავლის შედეგების რუკა.

სტანდარტის დასახელება[14]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[15]	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია 4	გასწორდეს საფაკულტეტო სასწავლო კურსების სტატუსი, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გასწორდა შეუსაბამობები სასწავლო კურსების სტატუსთან მიმართებაში, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება[16]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[17]	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 5	გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შესწორდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ცვლილებები შევიდა ასევე კურსების შინაარსში. ცვლილება განხორციელდა სასწავლო კურსის „გარემოს კონტროლი და ექსპერტიზა“ სილაბუსში, კერძოდ, პრაქტიკული მეცადინეობების ნაცვლად, დაემატა ლაბორატორიული მეცადინეობები. შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო გეგმაშიც.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

[14] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[15] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[16] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[17] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

სტანდარტის დასახელება[18]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[19]	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 6	პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად.** ცვლილებები განხორციელდა ორი სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც პრაქტიკული მეცადინეობები ჩანაცვლდა ლაბორატორიული მეცადინეობებით. თუმცა არის სასწავლო კურსები (მაგ. ანალიზური ქიმია 2), სადაც სასურველია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევის საჭიროების და საუნივერსიტეტო რესურსების გათვალისწინებით.
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსებსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება[20]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[21]	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია 7	რეკომენდირებულია განახლდეს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებამ განაახლა ხელშეკრულებები პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან, რომლებშის აისახა საწარმოო პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა და სტუდენტების რაოდენობა. წარმოდგენილია განახლებული 5 ხელშეკრულება. ამ მიმართულებით მუშაობის

[18] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[21] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	გაგრძელება ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას.
მტკიცებულებ(ები)ა	• პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

სტანდარტის დასახელება[22]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[23]	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 8	გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ყველა სასწავლო კურსში, რომელთა სწავლის შედეგები უნარების კომპეტენციასთან მიიმართებით, ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შეფასების კრიტერიუმებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნულ სასწავლო კურსებში, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა, ლაბორატორიული მეცადინეობების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება[24]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[25]	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 9	რეკომენდებულია, გადაიხედოს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს „საწარმოო პრაქტიკის“ შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე აქტივობის წილი და დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გადამუშავდა საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, შეფასების

[22] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[25] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	სისტემასთან მიმართებით და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.
მტკიცებულებ(ები)ა	• საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება[26]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[27]	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 10	რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა შეფასების კომპონენტებთან ერთად, ითვალისწინებს შეფასების შესაბამის კრიტერიუმებსაც.
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

თანდართული დოკუმენტაცია[28]

1. საბაკალავრო პროგრამის „ქიმია“, სილაბუსები;
2. საბაკალავრო პროგრამის „ქიმია“ სწავლის შედეგების რუკა;
3. პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტის ხელმოწერა

[26] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა